გამოქვეყნდა: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
ვებგვერდი, 07/08/2017

# საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის

**ბრძანება №0817/04-1**

**2017 წლის 4 აგვისტო**

**ქ. თბილისი**

## „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (სსმ IV, №32, 02.11.06) №2 დანართში, სადაც მოცემულია იმ ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან, ამოღებულ იქნეს ნომერი 305.
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**მოვალეობის შემსრულებელი** **გ. თევდორაშვილი**